საზოგადოებიდან გარიცხვის სტანდარტები ქართულ კანონმდებლობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების მაგალითზე

ნათია დულარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის

კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკენაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია დულარიძე

25.06.2024 წელი

აბსტრაქტი

2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი რომლის მიზანს წარმოადგენდა სამეწარმეო სუბიექტებისთვის ისეთი საკორპორაციო კანონმდებლობის შექმნა, რომლითაც მეტად გაძლიერდებოდა სამეწარმეო ურთიერთობებში კანონის როლი და დანიშნულება, მოწესრიგდებოდა კორპორაციული ურთიერთობები მეწარმე სუბიექტებს შორის, მათ სამეწარმეო თავისუფლების ხელშეწყობასთან ერთად. ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნა კანონმდებლობის რეგულირების საკითხი სს-დან და შპს-დან აქციონერის/პარტნიორის გარიცხვის საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში. საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს შორის აბსოლიტურ უმრავლესობას შპს და სს წარმოადგენს შესაბამისად საკითხის მოწესრიგების არეალი ფართო და აქტუალურია. კვლევის მთავარ მიზანს კი წარმოადგენს კანონმდებლობაში არსებული პრობლემური საკითხის სიღრმისეული ანალიზი. საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს პარტნიორის გარიცხვის სტანდარტს შპს-დან ხოლო სს-ს შემთხვევაში საკითხი დაურეგულირებელია. იმის დასადგენად თუ რამდენად საკმარისადაა მოწესრიგებული კანონმდებლობით შპს-დან პარტნიორის გარიცხვის სტანდარტები და სს-დან აქციონერის გარიცხვასთან დაკავშირებით რა პრობლემები არსებობს, კვლევის ფარგლებში შემდეგ კითხვებს გაეცათ პასუხი: დასაშვებია, თუ არა სს-დან აქციონერის გარიცხვა? რა სტანდარტი უნდა გავრცელდეს ამ პროცედურის მიმართ? უნდა ვრცელდებოდეს, თუ არა შპს-დან პარტნიორის გარიცხვის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები ასევე სს-დან აქციონერის გარიცხვის შემთხვევაში? აღნიშნული კვლევა აქტუალური და მნიშვნელოვანია ვინაიდან საკითხი ეხება, როგორც საზოგადოების ისე მათში შემავალი სუბიექტების ქონებრივ უფლებებს. საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა დოგმატურ-განმარტებით მეთოდთან ერთად, შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, სხვა არაერთ მეთოდთან ერთად, რომლებმაც საკითხის სიღრმისეული კვლევის შესაძლებლობა შექმნა.

საძიებო სიტყვები: პარტნიორის გარიცხვის სტანდარტი, აქციონერის გარიცხვის სტანდარტი, საკანონმდებლო რეგულირება, სასამართლო პრაქტიკა, საზოგადოებიდან გარიცხვის პრობლემები.

Abstract

From January 1, 2022, the new Law of Georgia "About Entrepreneurs" came into force, the purpose of which was to create such corporate legislation for entrepreneurial entities, which would greatly strengthen the role and purpose of the law in entrepreneurial relations, regulate corporate relations between entrepreneurial entities, along with promoting their entrepreneurial freedom. Within the framework of the work, the issue of legislation regulation was discussed within the framework of the legal regulation of the exclusion of the shareholder/partner from JSC and LLC. The vast majority of business entities registered in Georgia are represented by LLCs and JSCs, therefore, the area of regulation of the issue is wide and relevant. The main goal of the research is an in-depth analysis of the problematic issue in the legislation. The legislation of Georgia regulates the standard of expulsion of a partner from an LLC, but in the case of a JSC, the issue is not regulated. In order to determine the extent to which the standards for the expulsion of a partner from an LLC are sufficiently regulated by the legislation and what problems exist in connection with the expulsion of a shareholder from a JSC, the following questions were answered within the framework of the study: Is it permissible to expel a shareholder from a JSC? What standard should apply to this procedure? Should the standards established by the law for the expulsion of a partner from an LLC also apply to the expulsion of a shareholder from a JSC? The mentioned research is relevant and important since the issue concerns the property rights of both the society and the subjects included in them. For the purpose of in-depth study of the issue, the dogmatic-explanatory method, the comparative-legal method, along with many other methods were used within of the research, which created the possibility of in-depth study of the issue.

Search words: partner exclusion standard, shareholder exclusion standard, legal regulation, judicial practice, problems of exclusion from society.